

**დრამის რეჟისორ-რეპეტიტორი 080456
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

დრამის რეჟისორ-რეპეტიტორი თეატრალური ხელოვნების სფეროს პროფესიული კვალიფიკაციაა. დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის საქმიანობა ითვალისწინებს რეპეტიციების მსვლელობისას დამდგმელი რეჟისორის დახმარებას მსახიობების მიერ როლების მომზადებაში; დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის პროფესიული ამოცანაა, შეასრულოს შემდეგი სახის კონკრეტული სამუშაოები: მონაწილეობა მიიღოს პიესის კითხვასა და როლების განაწილებაში, დაეხმაროს მსახიობს პერსონაჟის ტექსტის მომზადებასა და გააზრებაში, სპექტაკლის რეჟისორთან ერთად ან დამოუკიდებლად ხელი შეუწყოს მსახიობს სამაგიდო რეპეტიციების წარმატებულ გავლაში, შეასრულოს სპექტაკლის რეჟისორის დავალება მსახიობის მიერ როლის შესწავლის პროცესში, რეჟისორისგან დამოუკიდებლად დაეხმაროს მსახიობს მიზანსცენების გავლაში, ჩაიწეროს და გააფორმოს რეჟისორის შენიშვნები და შესწორებები მსახიობებთან მუშაობის პროცესში და აღმოფხვრას ისინი შემდგომი რეპეტიციისთვის; დაეხმაროს მსახიობს სასცენო რეპეტიციებში და გენერალური რეპეტიციის დროს.

II. დასაქმების სფერო

სახელწიფო და კერძო დრამატული, მუსიკალური და თოჯინური თეატრი, სატელევიზიო თეატრი, ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლები, თეატრალურ-სასწავლო სტუდიები.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება
- შემოქმედებითი ტურის გავლა

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის პროფესიული განათლება იწყება მეოთხე საფეხურიდან და სრულდება მეხუთე საფეხურით. თითოეულ დონეზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წელიწადნახევრიანია და მოიცავს 90 კრედიტს, რომელთაგანაც მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

მეოთხე საფეხურის დასრულების შემდგომ სტუდენტს ენიჭება დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა მეოთხე საფეხურის პროფესიული დიპლომი.

დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წელიწადნახევრიანია, მოიცავს 90 კრედიტს: რომელთაგანაც 45 კრედიტი (50%) ეთმობა პრაქტიკას.

მეხუთე საფეხურის დასრულების შემდგომ სტუდენტს ენიჭება დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა მეხუთე საფეხურის პროფესიული დიპლომი.

V. დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის კვალიფიკაციის აღმწერი

დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>აქვს თეატრალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა; აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; იცის როლის მომზადების ტექნოლოგია და წესები; კარგად ერკვევა რეჟისორის მიერ დასახულ ამოცანებში; აქვს ზოგადი ცოდნა მსახიობის აღზრდის პრინციპებზე; ერკვევა თეატრალური ხელოვნების მიმდინარეობებში; იცის თეატრის განვითარების ისტორიის ძირითადი ტენდენციები; იცნობს გამოჩენილი რეჟისორების პრაქტიკას მსახიობებთან მუშაობის დროს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს თეატრალური ხელოვნების სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი; რეჟისორთან ერთად შეუძლია მოახდინოს დრამატურგიული მასალის და როლის ანალიზი; რეჟისორის დახმარებით შეუძლია შეარჩიოს როლის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდი; რეჟისორის დახმარებით და დრამატურგიული მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლია შეარჩიოს და გამოიყენოს როლზე მუშაობის განცდის, წარმოდგენის, გაუცხოების და სხვ. მეთოდები.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა ლიტერატურული და თეატრალურ-მემუარული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. პრობლემურ, ფორსმაჟორულ და განსხვავებულ სიტუაციაში (რაც მახასიათებელია თეატრის ცხოვრებისათვის) წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად შეუძლია მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება და ეფექტური გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება; რთული და არასტანდარტული დავალებების შესასრულებლად შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება; ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების შედეგად შეუძლია დავალების შესასრულებლად შესაფერისი მიდგომის შემუშავება;</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია რეჟისორთან, რეჟისორის ასისტენტთან, კომპოზიტორთან, დრამატურგთან, მსახიობებთან და თეატრის ტექნიკურ პერსონალთან განსხვავებულ საკითხებზე სხვადასხვა სიტუაციებში; ეფექტურად იყენებს</p>

	<p>ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია მშობლიური ენის და უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ნათარგმნ დრამატურგიულ მასალასთან; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და მაყურებელთან; შეუძლია საკუთარ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა არასპეციალისტებისათვის; შეუძლია უცხოურ ენაზე სპეციალობასთან/სამუშაოსთან დაკავშირებული ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; შეუძლია სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საჭიროებისა და ეტაპების განსაზღვრა; შეუძლია წინსვლის მიზნით საკუთარი სწავლის დაგეგმვა.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>იცავს პროფესიული საქმიანობისათვის დადგენილ პროფესიულ და ეთიკურ ნორმებს; შეუძლია პასუხისმგებლობა აიღოს შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და მხატვრულ ღირებულებებზე.</p>

დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს თეატრალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების მრავალმხრივი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება; აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; პროფესიულ დონეზე ფლობს როლის მომზადების ტექნოლოგიასა და წესებს; კარგად ერკვევა რეჟისორის მიერ დასახულ ამოცანებში; აქვს სრული თეორიული ცოდნა მსახიობის აღზრდის პრინციპებზე; კარგად ერკვევა თეატრალური ხელოვნების ყველა მიმდინარეობებში; იცის თეატრის ისტორიის ყველა საუკუნისა და თეატრალური ხელოვნების განვითარების თანამედროვე ტენდენციები; თეორიულად და პრაქტიკულად იცნობს გამოჩენილი რეჟისორების შემოქმედებას და მსახიობებთან მუშაობის გამოცდილებებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად გამოიყენოს თეატრალური ხელოვნების სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი; დამდგმელი რეჟისორის გარეშე დამოუკიდებლად შეუძლია მოახდინოს ლიტერატურული და დრამატურგიული მასალის და როლის ანალიზი; უნარი შესწევს დამდგმელი რეჟისორისგან დამოუკიდებლად შეარჩიოს როლის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდი; დრამატურგიული მასალის თუ ლიტერატურული პირველწყაროს სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლია დამოუკიდებლად შეარჩიოს და გამოიყენოს როლზე მუშაობის განცდის, წარმოდგენის, გაუცხოების, აბსურდის თეატრის, პოსტმოდერნისტული და სხვ. მეთოდები.</p>

<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია ნებისმიერ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა ლიტერატურული და თეატრალურ-მემუარული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. პრობლემურ, ფორსმაჟორულ და განსხვავებულ სიტუაციაში (რაც მახასიათებელია თეატრის ცხოვრებისათვის) წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად შეუძლია მიზნშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება და ეფექტური გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება; რთული და არასტანდარტული დავალებების შესასრულებლად შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება; ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების შედეგად შეუძლია დავალების შესასრულებლად შესაფერისი მიდგომის შემუშავება;</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თეატრის თეატრის მმართველთან, სამხატვრო ხელმძღვანელთან, დამდგმელ რეჟისორთან, რეჟისორის ასისტენტთან, კომპოზიტორთან, დრამატურგთან, მსახიობებთან და თეატრის ტექნიკურ პერსონალთან განსხვავებულ საკითხებზე სხვადასხვა სიტუაციებში; ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ნათარგმნ დრამატურგიულ მასალასთან; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა სპონსორებთან, და მაყურებელთან; შეუძლია საკუთარ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა როგორც სპეციალისტების ასევე არასპეციალისტებისათვის; შეუძლია უცხოურ ენაზე სპეციალობასთან/სამუშაოსთან დაკავშირებული ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; შეუძლია სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საჭიროებისა და ეტაპების განსაზღვრა; შეუძლია წინსვლის მიზნით საკუთარი სწავლის დაგეგმვა.</p>
<p>ღირეულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირეულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>იცავს პროფესიული საქმიანობისათვის დადგენილ პროფესიულ და ეთიკურ ნორმებს; შეუძლია პასუხისმგებლობა აილოს შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და მხატვრულ ღირეულებებზე.</p>

